საქართველოს პარლამენტი

ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ანგარიში საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ

2021

სარჩევი

შესავალი ... 3

1. ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო ... 4

1.1 საბჭოს მიზნები, ფუნქციები, საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები ... 4

1.2 საბჭოს შემადგენლობა და მუშაობის წესი ... 4

1.3 საბჭოს თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორ ორგანიზაციებთან ... 5

1.4 საბჭოს სამოქმედო გეგმა, სამომავლო ხედვები, პრიორიტეტები ... 6

2. სამართლებრივი აქტების შემუშავებისა და გაუმჯობესების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები ... 10

2.1 საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები ... 10

2.2 მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები ... 11

2.3 კანონქვემდებარე აქტები ... 14

3. ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები და არსებული გამოწვევები ... 16

3.1 დეინსტიტუციონალიზაცია და ბავშვის უფლება ალტერნატიულ ზრუნვაზე ... 16

3.2 ბავშვის მიერ განათლების მიღების უფლება ... 19

3.3 ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლება ... 27

3.4 ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე ... 34

3.5 საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებები ... 38

რეკომენდაციები ... 42

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას ... 42

შესავალი

ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს.[1] ამ ინტერესების უპირატესი გათვალისწინება სავალდებულოა საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო დაწესებულებების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას.[2] ბავშვის უფლებათა დაცვის ამ ძირითადი, სახელმძღვანელო პრინციპის იმპლემენტაცია საქართველოს როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებას წარმოადგენს.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 77[1] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე. ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით 2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და მნიშვნელოვანი საკანონმდებლო მიღწევების შესახებ. დოკუმენტში ასახულია ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიზნების, უფლებამოსილებებისა და ფუნქციების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით. ამასთანავე, მოცემულია საბჭოს მიერ ბავშვის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაცია. დოკუმენტში ასევე მიმოხილულია საანგარიშო პერიოდში მიღებული/გამოცემული ან/და გადასინჯული ბავშვის უფლებების მომწესრიგებელი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები, ბავშვის უფლებების დაცვის გაძლიერებისა და სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების მდგომარეობა. ანგარიში დასკვნის სახით მოიცავს ქვეყანაში ბავშვის უფლებების დაცვისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის იმპლემენტაციის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისადმი გაცემულ რეკომენდაციებს.

---

[1] იხ. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, გაერო, 1989 წელი, მუხლი 3; იხ. ასევე ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 5.

[2] იქვე.

1. ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო

1.1 საბჭოს მიზნები, ფუნქციები, საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო შექმნილია ბავშვის უფლებათა კოდექსის საფუძველზე,[3] რომლის ძირითადი მიზანია ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებისა და ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობა.[4] საბჭოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, ბავშვის უფლებათა კოდექსი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საბჭოს დებულება და სხვა ნორმატიული აქტები.

საბჭოს შექმნის იდეისა და მთავარი მიზნის გათვალისწინებით, მისი ძირითადი ფუნქციები მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზს და მის საფუძველზე ბავშვის უფლებების დაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავებას, საკანონმდებლო ინიციტივით წარდგენილი საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების თვალსაზრისით, აგრეთვე საზედამხედველო საქმიანობას, რომლის ფარგლებში საბჭო უფლებამოსილია, შეიმუშაოს და დანერგოს ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.[5]

1.2 საბჭოს შემადგენლობა და მუშაობის წესი

საბჭოს წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს პარლამენტის თავმჯდომარე საპარლამენტო ფრაქციებთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე. მეათე მოწვევის პარლამენტში საბჭო შედგება 15 წევრისგან, რომელთაგან 8 საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენს, 6 - ოპოზიციას, 1 კი უფრაქციო პარლამენტის წევრია.[6]

---

[3] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 89 (3).

[4] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 2018 წელი, მუხლი 77^1 (1).

[5] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 2018 წელი, მუხლი 77^1 (3); ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება, მუხლი 3. ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/komisia/bavshvta-uflebebi/bavshvis-uflebebi-debuleba.pdf [ბოლოს ნანახია: 17/02/2022].

[6] ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შემადგენლობა. ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/parliament/councils/51088/deputies [ბოლოს ნანახია: 23/02/2022].

საბჭოს მუშაობის ორგანიზებისთვის იმართება საბჭოს სხდომები, როგორც წესი, საქართველოს პარლამენტის მორიგი სესიის განმავლობაში ორჯერ. საბჭოს ფუნქციებიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარემ შესაძლოა განსაზღვროს სხდომების განსხვავებული პერიოდულობა.[7]

საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ, ანალიტიკურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული ერთეული - საქმისწარმოების დეპარტამენტის საპარლამენტო საბჭოების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება (ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სამდივნო).

1.3 საბჭოს თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორ ორგანიზაციებთან

საქმიანობის განხორციელების პროცესში საბჭომ პრიორიტეტად აირჩია საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. საანგარიშო პერიოდში საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით თანამშრომლობა დაიწყო გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) საქართველოსა და „World Vision საქართველოს“ წარმომადგენლობებთან.

თანამშრომლობის ფარგლებში, საბჭოსა და აღნიშნული დონორი ორგანიზაციების ექსპერტებს შორის გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების დაგეგმვის, მათზე მუშაობისა და შესრულებისთვის საჭირო ღონისძიებების განხილვის მიზნით.

2021 წლის 17-18 აპრილს და 27-28 ნოემბერს საბჭოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ორგანიზებით საქართველოს პარლამენტის წევრებისთვის გაიმართა გასვლითი შეხვედრა / სემინარი ბავშვის უფლებების თაობაზე. ორ დღიანი სემინარი, რომელსაც უძღვებოდა გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენელი ღასან ხალილი, ემსახურებოდა პარლამენტის წევრების ცნობიერების ამაღლებას ბავშვის უფლებების თაობაზე. შეხვედრებზე განხილულ იქნა ბავშვის უფლებების დაცვის მთავარი საერთაშორისო სამართლებრივი

[7] ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება, მუხლი 7 (1). ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/komisia/bavshvta-uflebebi/bavshvis-uflebebi-debuleba.pdf [ბოლოს ნანახია: 17/02/2022].

ინსტრუმენტის - ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს 1989 წლის კონვენციის ძირითადი დებულებები, პრინციპები, იმპლემენტაციის მექანიზმები და იმპლემენტაციის პროცესზე ეროვნული მონიტორინგის მექანიზმები.

2021 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი მიზნად ისახავს საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობასა და ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერებას.

საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში, 2021 წლის 17 დეკემბერს საბჭოს თავმჯდომარე დავით სერგეენკო შეხვდა გაეროს ბავშვთა ფონდის ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული დირექტორის მოადგილეს - ფილიპ კორისს. შეხვედრა ემსახურებოდა საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობასა და საბჭოსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას. გარდა ამისა, 2021 წლის 14 დეკემბერს საბჭოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო საკონსულტაციო ხასიათის ბავშვთა დაცვის ფონდის ევროპის რეგიონის საერთაშორისო კონფერენციაში, რომლის მთავარ თემას წარმოადგენდა ბავშვთა უფლებების განხორციელების მონიტორინგის და პოზიტიური ზეგავლენის საქმეში სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტების ჩართულობა.

1.4 საბჭოს სამოქმედო გეგმა, სამომავლო ხედვები, პრიორიტეტები

2021 წლის 7 ოქტომბერს საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა 5 თვიანი სამოქმედო გეგმა[8], რომლის განხორციელება გათვალისწინებულია 2021 წლის ნოემბერიდან 2022 წლის მარტის პერიოდში. გეგმით გათვალისწინებულია 7 ამოცანის შესრულება:

ამოცანა 1. ბავშვთა უფლებებზე მიმართული საკანონმდებლო დოკუმენტაციის რეესტრის შექმნა.

ამოცანა 2. ბავშვის კეთილდღეობისა და დაცვის პროგრამებისა და სერვისების რეესტრის შექმნა.

[8] ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/sabcho/bavshvis-ufleba/oqmebi/2020-2021/S-g-07-10-21.pdf
ბოლოს ნანახია [18/02/2022].

ამოცანა 3. სახელმწიფოს მიერ ბავშვის კეთილდღეობისა და დაცვის პროგრამების განხორციელების მონიტორინგის არსებული სისტემის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება.

ამოცანა 4. ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებულ ისეთ საკითხებზე ძირითადი საკვანძო ინდიკატორების განსაზღვა/შემუშავებას, როგორიცაა დეინსტიტუციონალიზაცია და ალტერნატიული ზრუნვა, პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მექანიზმები.

ამოცანა 5. ბავშვთა უფლებების დაცვის მონიტორინგის მიზნით ზედამხედველობის ინსტრუმენტის (დეშბორდი) შექმნა, ყველა დაინტერესებული და ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე და პასუხისმგებელი ორგანიზაციებთან და უწყებებთან კოორდინაციის გზით.

ამოცანა 6. ბავშვთა უფლებების დარღვევაზე რეაგირების გეგმის შემუშავება.

ამოცანა 7. „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ სამოქმედო, იმპლემენტაციის, მონიტორინგის და დარღვევებზე რეაგირების გრძელვადიანი (1 წლიანი) გეგმის შემუშავება.[9]

საანგარიშო პერიოდში საბჭომ შეარულა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პირველი და მეორე ამოცანები, კერძოდ, შეიქმნა:

- ✓ ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში რატიფიცირებული საერთაშორისო აქტებისა და ეროვნული ნორმატიული აქტების რეესტრი,[10] რომელიც მოიცავს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ 20 საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, 64 საკანონმდებლო აქტს, აგრეთვე, კანონქვემდებარე აქტებს: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებს, მინისტრების ბრძანებებს. დოკუმენტში თავმოყრილია ყველა ის ძირითადი საერთაშორისო, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომელიც არეგულირებს და ეხება ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებს. აღნიშნული წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს საბჭოს საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

[9] სამოქმედო გეგმა მომზადდა და ხორციელდება საერთაშორისო პარტნიორების - გაეროს განვითარების ფონდის (UNICEF) და „World Vision საქართველოს“ მხარდაჭერით.

[10] ხელმისაწვდომია: https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/sabcho/bavshvis-ufleba/oqmebi/2022/danarti-2.pdf ბოლოს ნანახია: [21/02/2022].

- ✓ ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის პროგრამების მომსახურების რეესტრი რომელშიც აღწერილია ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებების ფუნქცია-მოვალეობები და მომსახურებების პროგრამები.[11] უწყებათა წრე, რომლისგან საბჭომ შეაგროვა ინფორმაცია, მოიცავს: საქართველოს სამინისტროებს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. დოკუმენტში თავმოყრილია ყველა ის ძირითადი მომსახურება / პროგრამა, რომელიც ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ, აგრეთვე ე.წ. „outsource"-ით მიღებული მომსახურებები, რომლებსაც სახელმწიფო დაფინანსებით ახორციელებენ სხვადასხვა არასამეწარმეო იურიდიული პირები. რეესტრში მოცემულია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტით, ასევე დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი გრძელვადიანი მომსახურებები. დოკუმენტი მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, საბჭოს ინფორმირებას სფეროში არსებული საჯარო სერვისების შესახებ, რაც სამომავლოდ საბჭოსთვის შესაძლებელს გახდის მტკიცებულებებზე დაფუძნებით იმსჯელოს არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ და განახორციელოს საზედამხედველო საქმიანობა ამ მიმართულებით, მეორე მხრივ კი, რეესტრი ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე კოორდინაციის გაუმჯობესებას, ინფორმაციის გაცვლას ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოქალაქეთა რეფერირების პროცესს, სერვისებზე წვდომის გამარტივებას და გააუმჯობესებს მოქალაქეთა ინფორმირებულობას თითოეულ რეგიონში. აღსანიშნავია, რომ, მომსახურებებისა და პროგრამების ცვალებადობის გათვალისწინებით, რეესტრი ექვემდებარება განახლებას / ინფორმაციის დამატებას, შესაბამისად, საბჭო აგრძელებს მუშაობას დოკუმენტის სრულყოფის მიმართულებით.

[11] ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/parliament/councils/51088/documents [ბოლოს ნანახია: 24/02/2022]

საანგარიშო პერიოდში საბჭომ მუშაობა დაიწყო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულებაზეც, რომელთა შესრულების ვადა სცილდება საანგარიშო პერიოდს.

საბჭოს მიერ განხორციელებული სამუშაო ეხება ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული საკითხების - დეინსტიტუციონალიზაციისა და ალტერნატიული ზრუნვის, აგრეთვე, პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ მონიტორინგის გეგმისა და ძირითადი საკვანძო ინდიკატორების შემუშავებას. დეინსტიტუციონალიზაციისა და ალტერნატიული ზრუნვის თაობაზე მონიტორინგის გეგმის დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს ოჯახის გაძლიერების ხელშეწყობა და ალტერნატიული ზრუნვის სერვისის მიწოდებაზე ზედამხედველობის განხორციელება შემუშავებული ძირითადი საკვანძო ინდიკატორების გამოყენებით. რაც შეეხება პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ დოკუმენტის ჩამოყალიბებას, საბჭოს მიზანია, პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი არსებული პროგრამების მონიტორინგის განხორციელება ძირითადი საკვანძო ინდიკატორების საშუალებით. საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, საბჭომ ასევე მუშაობა დაიწყო ზედამხედველობის ინსტრუმენტის, ე.წ. „dashboard tool"-ის შექმნაზე.

საანგარიშო პერიოდში საბჭომ გამოყო დამატებითი პრიორიტეტები და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა მონიტორინგის გეგმისა და ძირითადი საკვანძო ინდიკატორების შემუშავებაზე. პრიორიტეტებია: ბავშვთა სიღარიბის, ბავშვთა მიმართ ძალადობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების შესახებ საკითხები:

- ბავშვთა სიღარიბე - საბჭოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების / ოჯახების აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის დინამიკაზე მონიტორინგის განხორციელება, ოჯახის შემოსავლის გავლენის დადგენა უშუალოდ ბავშვის კეთილდღეობის სხვადასხვა განზომილებებზე;
- ბავშვთა მიმართ ძალადობა - ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ძალადობაზე რეაგირების მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკის ფორმირების პროგრესზე ზედამხედველობა, ძალადობის სხვადასხვა ფორმის გავრცელების მაჩვენებლის განსაზღვრა და რეფერირების სისტემის შეფასება;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები - საბჭოს მიერ ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების და სტატუსის დადგენის სისტემის რეფორმის მიმდინარეობის მონიტორინგი.

საბჭო აგრძელებს მუშაობას ბავშვის უფლებათა კოდექსის სამოქმედო, იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და დარღვევებზე რეაგირების 1 წლიანი გეგმის შემუშავებაზე. ამასთანავე, საბჭო განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან.

2. სამართლებრივი აქტების შემუშავებისა და გაუმჯობესების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები

2.1 საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

2021 წელს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირებას, რომლის მიზანია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის აღსრულების ხელშეწყობა და მისი მონიტორინგი. ფაკულტატური ოქმი ითვალისწინებს ინდივიდუალური საჩივრების განხილვასა და რეკომენდაციების შემუშავებას, ასევე კონვენციის დარღვევების მტკიცებულებების გამორკვევას და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. აღნიშნული დოკუმენტის რატიფიცირებით საქართველო აღიარებს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტის კომპეტენციას, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, მიიღოს და განიხილოს იმ პირების ან პირთა ჯგუფის მიერ ან მათი სახელით წარდგენილი შეტყობინებები, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი არიან სახელმწიფო მხარის მიერ კონვენციის დებულებების დარღვევის მსხვერპლნი.[12]

საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოს მეირ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მადგომარეობის შესახებ ინფორმაცია განხილულია წინამდებარე ანგარიშის ცალკეულ ქვეთავებში თემატურად.

[12] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმი, გაერო, 2009 წელი, მუხლი 1 (1).

2.2 მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების შესახებ რამდენიმე კანონპროექტს დაუჭირა მხარი, რომელიც მიმართულია ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფისკენ. მათ შორის აღსანიშნავია:

- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის თანახმად, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა მუხლი, რომლიც ავალდებულებს კერძო სკოლას, ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს მისცეს მიმდინარე სემესტრის დასრულების შესაძლებლობა და მოსწავლეს სტატუსი შეუწყვიტოს მხოლოდ ფინანსური დავალიანების წარმოშობის სემესტრის დასრულებიდან მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, სტატუს შეჩერებული მოსწავლისთვის მობილობით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.[13]
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, რომლებმაც ისწავლეს და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოში მოქმედ სენსორული დარღვევების მქონე ბავშვთა სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სკოლებში, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან და დაფინანსდებიან სახელმწიფოს მიერ.[14]
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტი ითვალისწინებს სპეციალური მასწავლებლის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული გამოცდის ჩაბარების ვადის გადაწევას - 2022 წლის პირველი იანვრის ნაცვლად 2025 წლის პირველ იანვრამდე.[15] შემოთავაზებული

[13] საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, N 07-3/32, 12/02/2021.
ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269467

[14] საქართველოს კანონის პროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ, N 07-2/36, 31/03/2021.
ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/272633

[15] საქართველოს კანონის პროექტი ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, N 07-2/100, 01/12/2021.
ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/287473

ცვლილების საფუძველია ყველა სპეციალური მასწავლებლისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფა, რამდენადაც პანდემიის გამო, რამდენიმე პრაქტიკოს მასწავლებელს, სხვა პრაქტიკოსი მასწავლებლებისგან განსხვავებით, 2021 წლის განმავლობაში არ მიეცა გამოცდის რამდენჯერმე ჩაბარების შესაძლებლობა.

- „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტისა და „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის შესაბამისად, საქართველოში არსებული ყველა საჯარო და კერძო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის პროცესი უნდა განხორციელდეს 2022-2030 წლებში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.[16]
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელოვნებო საგნების სწავლების უფლება ექნებათ როგორც უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგებს, ისე სახელოვნებო ან სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებსაც.[17] შემოთავაზებული ცვლილებების ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიწოდება. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში აღნიშნული კანონპროექტის მიღებას საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით დაუჭირა მხარი.
- „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიზანია სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვნისთვის, მათ შორის, მოწმე არასრულწლოვნისთვის უფასო იურიდიული დახმარების მიღების უზრუნველყოფა

[16] საქართველოს კანონის პროექტი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, №07-3/123, 17/11/2021. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/285639; https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/285641

[17] საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ, N 07-3/118/10, 08/11/2021. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/292037

განურჩევლად მისი გადახდისუნარიანობისა და იმისა, თუ რომელი კატეგორიის დანაშაულის საქმეზე იკითხება.[18] საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა.

- „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე დასაკავშირებლად ბრალდებულის / მსჯავრდებულის, მათ შორის, არასრულწლოვანი ბრალდებულის / მსჯავრდებულის სატელეფონო საუბარი ხორციელდება ნებისმიერ დროს, დაწესებულების ხარჯით და ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება სატელეფონო საუბრის ლიმიტები.[19]
- „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული უნდა იყოს მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ექსპერტი იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის ჩატარება გულისხმობს არასრულწლოვანსა და ექსპერტს შორის კომუნიკაციას, გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებზე ცალკეული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარების წესის ახლებურად მოწესრიგებას.[20]

[18] საქართველოს კანონის პროექტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, N 07-3/50/10, 19/05/2021. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/274044

[19] საქართველოს კანონის პროექტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, N 07-3/79/10, 16/06/2021. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/284494

[20] საქართველოს კანონის პროექტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, N 07-3/107/10, 02/09/2021. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/22782

2.3 კანონქვემდებარე აქტები

საანგარიშო პერიოდში ბავშვის უფლებების დაცვის გაძლიერებისა და სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების მიზნით, გამოიცა სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტი.

ბავშვის უფლებათა კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილება, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, განახორციელოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა და უზრუნველყოს ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა ბავშვის უფლებათა საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით.

2021 წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ბავშვის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ფარგლებში აღსანიშნავია:

- „№5 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების პროექტის შემუშავება. აღნიშნული პენიტენციური დაწესებულება წარმოადგენს ქალთა სპეციალიზებულ დაწესებულებას, რომელშიც განთავსებულნი არიან, აგრეთვე, არასრულწლოვანი ბრალდებულები/მსჯავრდებულები;
- „№11 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების პროექტის შემუშავება. ეს პენიტენციური დაწესებულება წარმოადგენს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებას.[21]

ბავშვის უფლებათა კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების სრულფასოვნად შესრულების მიზნით, აგრეთვე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა[22]

[21] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი N2065, 18/02/2022.

[22] შენიშვნა: „იმ ნორმატიული აქტების პროექტების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც არ საჭიროებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტებს.[23] გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციისა და ბავშვის უფლებათა კოდექსთან მიმართებით, სამინისტრომ განიხილა ცალკეული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტები, რომლებიც გარკვეულწილად შეეხებოდა ბავშვის უფლებებს, კერძოდ:

- „სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის № 573 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტები;
- „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი თანმდევ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შესატანი ცვლილების პროექტთან ერთად.[24]

2020 წლის 9 ოქტომბრის №640 ბრძანებით განისაზღვრა, რომ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას ყველა შემთხვევაში საჭიროებს ბავშვის უფლებათა კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ბავშვის უფლებათა საკითხების მომწესრიგებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

[23] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი N2065, 18/02/2022.

[24] იქვე.

3. ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები და არსებული გამოწვევები

3.1 დეინსტიტუციონალიზაცია და ბავშვის უფლება ალტერნატიულ ზრუნვაზე

ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება უკიდურესად მნიშვნელოვანია ალტერნატიული ზრუნვის განხორციელებისას. ალტერნატიული ზრუნვის საჭიროების მქონე ბავშვის მოწყვლადი მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ პროცესში ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-9 მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს, უზრუნველყონ, რომ ბავშვი არ განშორდეს მშობლებს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის. ალტერნატიული ზრუნვის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ ალტერნატიული ზრუნვის მიზნით ბავშვის განთავსება აუცილებელია, ეს უნდა განხორციელდეს ბავშვის ინტერესებისთვის მორგებული პროცედურების დაცვით.[25] ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოიაზრებს ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვითვის ოჯახური გარემოს უზრუნველყოფას ნაცვლად დიდი ზომის ინსტიტუციებში განთავსებისა, სადაც ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება ვერ ხერხდება. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია ხაზს უსვამს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის მნიშვნელობას და ალტენრატიული ზრუნვის უკიდურეს ღონისძიებად გამოყენებას.[26] აღნიშნული დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას დეინსტიტუციონალიზაციასა და ბავშვისთვის ალტერნატიული ზრუნვის სახით ოჯახური გარემოს შექმნას.

საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი დაწყებულია, თუმცა მისი კომპლექსურობის გათვალისწინებით, ერთ-ერთი უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს. ბავშვის უფლებათა კოდექსი საქართველოს მთავრობას დეინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების ვალდებულებას აკისრებს.[27] აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში მუშაობა დაიწყო

---

[25] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 29.

[26] United Nations General Assembly, Resolution adopted by the General Assembly on 18 December 2019, A/RES/74/133, January 20, 2020. ხელმისაწვდომია: https://bettercarenetwork.org/sites/default/files/2020-01/A_RES_74_133_E.pdf [ბოლოს ნანახია: 24/02/2022].

[27] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 99 (2) „ა.გ“. *შენიშვნა:* ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება უნდა განხოციელებულიყო 2020 წლის 1 მარტამდე.

ბავშვთა დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის სამოქმედო გეგმის ლოგიკურ ჩარჩოზე, რაშიც ჩართული არიან შესაბამისი დარგობრივი სამინისტროები.[28]

2021 წლის მდგომარეობით, ქვეყანაში არსებობს როგორც ლიცენზირებული, ისე არალიცენზირებული დიდი ზომის ინსტიტუციები. ზემოაღნიშნული რეზოლუციის თანახმად, სახელმწიფოში უნდა შეიქმნას დეინსტიტუციონალიზაციის გეგმა და მონიტორინგის მექანიზმი. როგორც წინამდებარე ანგარიშში აღინიშნა, ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ საანგარიშო პერიოდში დაიწყო მუშაობა სწორედ დეინსტიტუციონალიზაციის გეგმისა და მონიტორინგის მექანიზმის დოკუმენტის შექმნის მიმართულებით. დოკუმენტის სამუშაო ვერსია მოიცავს არსებული ინსტიტუციებისა და მათში განთავსებული ბავშვების რაოდენობრივ და თვისობრივ მახასიათებლებს. ძირითადი ინდიკატორები და შესასარულებელი ამოცანები ორიენტირებულია ინსტიტუციებში განთავსებული ბავშვების ოჯახურ და თემზე დაფუძნებულ ზრუნვაში გადაყვანის უზრუნველყოფაზე, აგრეთვე, ინსტიტუციებში ბავშვის განთავსების რისკების შეფასებასა და მათი აღმოფხვრის სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელიც მოიცავს მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების და მათი ოჯახების მხარდამჭერი, პრევენციული მექანიზმებისა და სერვისების შექმნას. ამასთან, დოკუმენტში ჩამოყალიბებული ინდიკატორები საშუალებას იძლევა, შეფასდეს თითოეული ბავშვისა და ოჯახის მდგომარეობა, დადგინდეს ინსტიტუციებში ბავშვების განთავსების მიზეზები, განისაზღვროს ბავშვების საჭიროებები, ინსტიტუციებიდან მათი გაყვანის პროცესის სწორად დადგეგმვისა და ზრუნვის სათანადო ფორმის განსაზღვრის მიზნით.

დოკუმენტის სამუშაო ვერსიაში ასევე ასახულია პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების შესახებ მონიტორინგის გეგმა და ძირითადი ინდიკატორები, რომლის მიზანია პრევენციული და ოჯახის მხარდამჭერი არსებული პროგრამების მონიტორინგი. მონიტორინგის გეგმა მოიაზრებს ბავშვზე ზრუნვისა და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების რაოდენობის განსაზღვრასა და სიმძლავრის შეფასებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტებში არსებული პროგრამების რაოდენობის განსაზღვრას სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით.

[28] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი N GOV 8 22 00004798, 16/02/2022.

საანგარიშო პერიოდში ალტერნატიული ზრუნვის სისტემის გაძლიერების კუთხით არსებული მექანიზმები მოიცავს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში რთული ქცევის მართვის მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტს,[29] რომელიც დაფუძნებულია ახალგაზრდების ძლიერი მხარეებისა და უნარების აღმოჩენასა და გაძლიერებაზე.[30] 2021 წელს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ მოძიებული იქნა პირები, რომელთაც სურთ დარეგისტრირდენენ სპეციალიზებულ მინდობით აღმზრდელებად რთული ქცევისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებისთვის.[31]

ალტერნატიული ზრუნვის სისტემის მონიტორინგის თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული ღონისძიებები. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა მონიტორინგი განახორციელა განათლების და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებულ 12 სკოლა-პანსიონში, აქედან 7 შშმ არასრულწლოვანთათვის პროგრამების განმახორციელებელ სკოლა-პანსიონში, თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში, 20 მცირე საოჯახო ტიპის სახლში, 6 მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრსა და ოცდაოთხსაათიანი მომსახურების მიმწოდებელ თავშესაფარში (აქედან 2 მათგანში 2 ვიზიტი განხორციელდა), შშმ ბავშვთა დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებაში, მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ გოგონათა ერთ პანსიონში, მართლმადიდებლურ ეკლესიას დაქვემდებარებულ ორ დიდ რეზიდენტულ დაწესებულებასა (აქედან ერთ მათგანში 3 ვიზიტი განხორციელდა) და ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ძალადობის მსხვერპლთა 5 თავშესაფარში, დედათა და ბავშვთა ყველა თავშესაფარში (ხუთი) და ერთ სოციალურ საცხოვრისში.[32] განხორციელებული მონიტორინგისა და ინდივიდუალური საქმეების შესწავლის საფუძველზე, მომზადდა სპეციალური ანგარიში „ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“.[33]

---

[29] მცირე საოჯახო ტიპის სახლებში რთული ქცევის მართვის მომსახურების უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის N634 დადგენილების - სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

[30] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/1409, 24/02/2022.

[31] იქვე.

[32] საქართველოს სახალხო დამცველის წერილი N10-1/2004 18/02/2022.

[33] იქვე.

3.2 ბავშვის მიერ განათლების მიღების უფლება

3.2.1 განათლების ინკლუზიური სისტემის მხარდაჭერა

საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში, უზრუნველყოფს ბავშვის განათლების უფლების აღიარებას და თანაბარი შესაძლებელობების საფუძველზე ამ უფლების განხორციელებას.[34] ამ ვალდებულების საკანონმდებლო დონეზე იმპელემენტაციას უზრუნველყოფს ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც აღიარებს ბავშვის განათლების მიღების უფლებას და განათლების ინკლუზიური სისტემის მხარდაჭერის საჭიროებას.[35] განათლების ინკლუზიური სისტემა მოიაზრებს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანთლებლო პროგრამების, რესურსების ბავშის განათლების მიზნებთან შესაბამისობას და თითოეული ბავშვისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში მისი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიწოდების უზრუნველყოფას.[36]

საანგარიშო პერიოდში განათლების სისტემაში განხორციელდა ინკლუზიური განათლების მრავალფეროვანი მიდგომებისა და ფორმების დანერგვა:[37]

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების ხელშეწყობისთვის დამტკიცდა სენსორული სასწავლო გეგმა უმძიმესი და მრავლობითი გონებრივი და ფიზიკური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის, მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის შემუშავდა გაფართოებული სასწავლო გეგმა, ხოლო სავალდებული განათლების მიღმა დარჩენილი პირებისთვის - მობილობისა და ორიენტაციის სტანდარტი, დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმი.
- სენსორული (სმენა), აუტიზმის სპექტრის მქონე, მძიმე ინტელექტუალური და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებდა 13 ინტეგრირებული კლასი, რომლის ფარგლებშიც საგაკვეთილო პროცესში ინტეგრაციის ხელშესაწყობად მოსწავლეებთან ჯგუფურად და ინდივიდუალურად მუშაობენ დამატებითი სპეციალისტები;

[34] კონვეცნია ბავშვის უფლებების შესახებ, გაერო, 1989 წელი, მუხლი 28 (1).
[35] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლები 35, 37.
[36] იქვე, მუხლი 37 (1).
[37] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, N MES 6 22 0000144620, 14/02/2022.

- მცირემხედველი და უსინათლო მოსწავლეებისათვის შეიქმნა IV-VIII კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიები;
- უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეების სწავლების ხელშეწყობისათვის მოხდა დამხმარე ტექნიკური საშუალებების შეძენა.
- ქ. თბილისის N200 საჯარო სკოლაში სენსორული ოთახი მოწყობა, რომელიც ინტელექტუალური და ფიზიკური განვითარების მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებს შეგრძნებების სტიმულაციის მეშვეობით სწავლის პროცესში დაეხმარება.[38]

მოწყვლადი ჯგუფების განათლებაში ინკლუზიის მიმართულებით გახორციელებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

- ბოშების, მესხების, შშმ და სსსმ მოსწავლეების სოციალიზაციის მიზნით განხორციელდა საჯარო სკოლების 22 პროექტის დაფინანსება;
- დაწევისა და დაჩქარებული სწავლების საგანმანათლებლო რესურსის შექმნა;[39]
- ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების განათლების და სოციალიზაციის უზრუნველყოფისთვის სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის - ,,ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის“ განხორციელება, რომლის ბენეფიციარები არიან ქვეყანაში არსებული სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სადღეღამისო თავშესაფრებსა და დღის ცენტრებში მყოფი მიუსაფარი ბავშვები. პროგრამაში ჩართულია 122 ბავშვი;
- კორონა ვირუსის (COVID - 19) გავრცელების პრევენციის გამო დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით სოციალური მომსახურების სერვისების -,,დღის ცენტრების“ მომსახურების შეჩერების მიუხედავად, მუშაობა გაგრძელდა სადღეღამისო თავშესაფრების 24 საათიან მომსახურებაში მიუსაფარი ბავშვებისთვის და განხორციელდა საგანმანათლებლო პროცესის მოდიფიცირება დისტანციური სწავლებისთვის;

[38] სენსორული ოთახის მოწყობა განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და World Vision საქართველოს მხარდაჭერით.
[39] დაწევისა და დაჩქარებული სწავლების საგანმანათლებლო რესურსის შექმნა განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაეროს ბავშვთა ფონდთან და ბულგარეთის საელჩოსთან თანამშრომლობის ფარგლებში.

- ,,სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 2021 წლის იანვრისთვის 10,404 ბავშვის მონაცემის ინდენტიფიცირება, რომლებიც არ იყვნენ რეგისტრირებულნი ზოგადი განათლების სისტემაში და არ ჰქონდათ გადაკვეთილი საქართველოს საზღვარი;
- სსსმ მოსწავლეებს, როგორც კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის დროს ერთ-ერთ რისკ ჯგუფს, მთელი ქვეყნის მასშტაბით დისტანციურ სწავლაზე გადასვლის შესაძლებლობის მიცემა, „COVID-19 გამოწვეული პანდემიის პირობებში საჯარო სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამაში ცვლილებების განხორციელების საფუძველზე.[40]

გარდა ამისა, 2021 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო სხვადასხვა დაწესებულებაში ხანგრძლივად განთავსებული ბავშვებისთვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება - მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისთვის, ბავშვთა ჰოსპისში - „ციცინათელების ქვეყანაში“ განთავსებული ბენეფიციარებისთვის.[41]

განათლების ინკლუზიური სისტემის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა სხვადასხვა გზავმკვლევი/კრებული[42]:

- აკადემიური უნარების განმავითარებელი აქტივობების კრებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის;[43]
- „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გზამკვლევი;“[44]
- გზამკვლევი „სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან“, რომელიც განკუთვნილია საგნის მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სფეროს სპეციალისტებისთვის;[45]

---

[40] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, N MES 6 22 0000144620, 14/02/2022.
[41] იქვე.
[42] იქვე.
[43] ხელმისაწვდომია: http://inclusion.ge/res/docs/20201231171803437.pdf [ბოლოს ნანახია: 24/02/2022].
[44] ხელმისაწვდომია: http://inclusion.ge/res/docs/2021090400193979992.pdf [ბოლოს ნანახია: 24/02/2022].
[45] ხელმისაწვდომია: http://inclusion.ge/res/docs/2021063011383627091.06.21.pdf [ბოლოს ნანახია: 24/02/2022].

- გზამკვლევი - „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების თავისებურებები და პრობლემური ქცევის პრევენცია;“[46]
- „საქართველოში ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირების და პროფესიის განვითარების გზამკვლევი;“[47]

განათლების ინკლუზიური სისტემის მხარდაჭერის კუთხით აღსანიშნავია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს იერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებები[48]:

- კონკურსის „კერძო და მუნიციპალური სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლების პროექტების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)იპ ინკლუზიური განვითარების ცენტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი - „ინკლუზიური საცეკვაო სკოლის „ანისი“ დანერგვის პროგრამა“. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ინკლუზიური საცეკვაო სკოლის სასწავლო პროგრამა, მომზადდა სასწავლო და სატრენინგო მოდულები, ბენეფიციარებს (20 შშმ მოსწავლე) ჩაუტარდა ცეკვის გაკვეთილები. პარალელურად ჩატარდა ტრენინგები ინკლუზიური განათლებისა და ინკლუზიური ცეკვის სწავლების მიმართულებით (თეორია, მეთოდიკა, პრაქტიკა).
- დაფინანსდა ა(ა)იპ „ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისთვის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი - „ინკლუზიური ცეკვის, მუსიკისა და დრამა თერაპიის სინთეზური მეთოდოლოგიის შემუშავება დასასწავლო-ლაბორატორიული ჯგუფის შექმნა (ინკლუზიური თეატრალური სკოლა-სტუდიის „აზდაკისბაღი“ ბაზაზე)” პროექტის ფარგლებში, ინკლუზიური თეატრალური სკოლა-სტუდიის ბაზაზე, შეიქმნა ლაბორატორიული სასწავლო ჯგუფი 20 სხვადასხვა შეზღუდვის (დაუნის სინდრომი, აუტისტური სპექტრი, გონებრივი განვითარების შეფერხება, სმენისა და მეტყველების დარღვევა, გადაადგილების შეზღუდვა, ყურადღების დეფიციტი და სხვა) მქონე ბავშვისათვის (5-18წ.). ჯგუფში შემუშავდა სამი თერაპიის სინთეზური სავარჯიშოები. 20 სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ბავშვი ჩაერთო

[46] იხ. სქ. 40.
[47] ხელმისაწვდომია: http://inclusion.ge/res/docs/2021092810285874827.pdf [ბოლოს ნანახია: 24/02/2022].
[48] საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი № 00004843, 22/02/2022.

სინთეზური ხელოვნების სავარჯიშოებში, რამაც ხელი შეუწყო მუსიკის ელემენტების შესწავლას მოძრაობის, ურთიერთქმედებების გამოცდილებით;

- კონკურსის „კერძო და მუნიციპალური სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლების პროექტების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)იპ უნარშეზღუდულ და დიაბეტით დაავადებულ მოზარდთა რეაბილიტაციის ფონდის „ართჰოლი+“ მიერ წარმოდგენილი პროექტი - საგანმანათლებლო კინო - „გაცოცხლებული ტილოები“. პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდების მიერ გამოჩენილი მხატვრების ნამუშევრების შესწავლას და ე.წ. „გაცოცხლებას“ კინო/ვიდეო საშუალებებით. მასში, სხვა მოზარდებთან ერთად, მონაწილეობდა 6 შშმ პირი.
- კონკურსის „კერძო თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა" ფარგლებში დაფინანსდა შპს „ჩვენი თეატრის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი „მოძრავი თოჯინების თეატრი“. პროექტის ფარგლებში მოხდა სატვირთო მანქანის შესყიდვა, სადაც მოეწყო სცენა და გათამაშდა თოჯინების თეატრი ბავშვებისათვის, თბილისის ღია სივრცეებში, რითაც მოხდა თეატრზე ხელმისაწვდომობის ზრდა.
- კონკურსის „ბავშვთა/საყმაწვილო კერძო შემოქმედებითი სტუდიების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსდა გარდაბნის საბავშვო თეატრის „ბიზ“ მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოხდა ვაჟა-ფშაველას „ტყის კომედიის“ თარგმნა აზერბაიჯანულ ენაზე და პატარა მსახიობების მიერ პიესის გათამაშება.

- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიცირებით, განხორციელდა პროექტი „კულტურული ღონისძიებები საზღვარგარეთ მოქმედი ქართული საკვირაო სკოლებისათვის“, რომლის მიზანს, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ბავშვების, ისტორიულ სამშობლოსთან კულტურული კავშირების გაღრმავება და გაძლიერება, მათი თვითიდენტობის ჩამოყალიბება, კულტურაზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენდა.

3.2.2 პროფესიული გადამზადება

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ საქართველოს ხელისუფლებისთვის გაცემული რეკომენდაციის თანახმად, სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს სოციალურ მუშაკებს,

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ბავშვთა რეფერირების მექანიზმში და ბავშვთა რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია ჩაითვალოს სოციალური მუშაკების მიერ გაწეული მომსახურების საბოლოო მიზნად.[49] გარდა ამისა, კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს, გააძლიეროს და გამოყოს საჭირო რესურსები სოციალური დაცვის სისტემისთვის და განათლების პროგრამებისთვის, განსაკუთრებით სოციალური მუშაკების რაოდენობის, მათი ტრენინგისა და ანაზღაურების მნიშვნელოვნად გაზრდისათვის.[50] ბავშვის უფლებათა კოდექსი ავალდებულებს სახელმწიფოს, ადრეული, სკოლამდელი აღზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების დაწესებულებების პედაგოგებისა და სხვა პერსონალის პროფესიული განვითარების ეროვნული სისტემის შექმნას, რაც ხარისხიანი ინკლუზიური განათლების მიწოდების აუცილებელი წინაპირობაა.[51]

საგანმანათლებლო სივრცეში თითოეული ბავშვის საუკეთესო ინტერების უპირატესად გათვალისწინების პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით აღსანიშნავია საგანმანათლებლო სფეროს პერსონალის გადამზადების მიმართულებით გატარებული ღონისძიებები. საანგარიშო პერიოდში ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში, განხორციელდა ინკლუზიური განათლების სპეციალისტების აყვანა, რომლებიც ჩართულ სკოლებში ახორციელებენ ინკლუზიური განათლების მხარდაჭერას, აძლევენ რეკომენდაციებს სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მიმართულებით.[52] ამასთან, წლის განმავლობაში გადამზადება გაიარა 30-მდე ქართული ჟესტური ენის თარჯიმანმა.[53]

გარდა აღნიშნულისა, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ,,ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში 2021 წელს განხორციელდა ,,სოციალურ მუშაობის სერტიფიცირების პროგრამა“ რომლის ფარგლებში სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირების 45 კრედიტიანი პროგრამა.[54]

---

[49] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი დაკვირვებები საქართველოს მეოთხე პერიოდული ანგარიშის შესახებ, 2017 წლი 9 მარტი, CRC/C/GEO/CO/4/, პარაგ. 22 (d).
[50] იქვე, პარაგ. 27 (a).
[51] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 37 (1) „გ“.
[52] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, N MES 6 22 0000144620, 14/02/2022.
[53] იქვე.
[54] იქვე.

გადამზადებული სოციალური მუშაკები უწყებების მიხედვით:

- 120 სოციალური მუშაკი (სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო);
- 80 სოციალური მუშაკი (სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული);
- 43 სოციალური მუშაკი (ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური მუშაკები);
- 39 სოციალური მუშაკი (არასამთავრობო ორგანიზაციების ფარგლებში);
- 20 სოციალური მუშაკი (სპეციალური პენიტენციური სამსახური);
- 6 სოციალური მუშაკი (სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო);
- 4 სოციალური მუშაკი (ფსიქიკური ჯანმრთელობის თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი);
- 5 სოციალური მუშაკი (საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი);
- 35 სოციალური მუშაკი (ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი).

საგანამათლებლო სფეროში მომუშავე პირებს შორის, ბავშვის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი აკისრია მანდატურს. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა სკოლებში მანდტურების შეზღუდულ რაოდენობაზე მიუთითა[55] და მოუწოდა სახელმწიფოს, უზრუნველყოს მანდატურის აქტიური ყოფნა ყველა სკოლაში, გააფართოვოს მათი შესაძლებლობები სკოლებში ძალადობისა და ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციის, შეტყობინების და მართვის მიზნით, მულტიდისციპლინური და მულტისექტორული მიდგომის გამოყენებით.[56]

2021 წლის მდგომარეობით საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები განაწილებულები არიან ქვეყნის მასშტაბით 607 საჯარო სკოლაში, ხოლო სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი მთელი საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია 10 ლოკაციაზე (თბილისი - 2; თელავი; რუსთავი; გორი; ქუთაისი; ბათუმი; ახალციხე; ფოთი; ზუგდიდი),

[55] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი დაკვირვებები საქართველოს მეოთხე პერიოდული ანგარიშის შესახებ, 2017 წლი 9 მარტი, CRC/C/GEO/CO/4/, პარაგ. 21 (f).
[56] იქვე, პარაგ. 22 (f).

რომელიც უფასო ფსიქოსოციალურ მომსახურებას უწევს მოსწავლეებს, მათ მშობლებს და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს.[57]

მანდატურის სამსახურის როლის გაძლიერების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია[58]:

- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში 2021 წელს ფუნქციონირება განაგრძო კრიზისული ინტერვენციის ჯგუფმა, რომლის მიზანია კრიზისული შემთხვევების შეფასება ადგილზე, სიტუაციის პირველადი მართვა, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა.
- ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ სპეციალურად შექმნილი ტრენინგ-მოდულით, იმ საჯარო სკოლებისათვის, სადაც არ არის წარმოდგენილი მანდატურის სამსახური, ხორციელდება სკოლის უფლებამოსილი პირების გადამზადება; 2021 წლის მანძილზე გადამზადდა 51 უფლებამოსილი პირი;
- საანგარიშო წელს მანდატურის სამსახურის მიერ საპილოტე სკოლებში გაგრძელდა ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენციის პროგრამა მოსწავლეებისთვის;
- მანდატურის სამსახურმა სკოლებში სოციალური მუშაობის მოდელი შეიმუშავა, რომლის ფარგლებში დაიწყო საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერება და სოციალური მუშაკების როლის გაზრდა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, თბილისსა და რეგიონებში, ახალი სოციალური მუშაკები დაემატნენ და მათი რაოდენობა 2021 წლის მონაცემით 40-მდე გაიზარდა. სოციალური მუშაობის კომპონენტით, მანდატურის სამსახური შევიდა 36 საჯარო სკოლაში (თბილისი, მცხეთა, თელავი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ამბროლაური, იმერეთი, ფოთი, ბათუმი, ხელვაჩაური);[59]
- 2021 წლიდან მანდატურის სამსახურმა სასკოლო მედიაციის პროექტი აამოქმედა;

[57] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, N MES 6 22 0000144620, 14/02/2022.
[58] იქვე.
[59] *შენიშვნა:* ეს წარმოადგენს პირველ შემთხვევას საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, როდესაც სოციალური მუშაკი სასკოლო ცხოვრების ნაწილი გახდა და ის თავის ფუნქცია-მოვალეობებს უშუალოდ ადგილზე ახორციელებს. აქამდე, სოციალური მუშაობა სკოლებში საჭიროებისამებრ, ინტერვენციის ფარგლებში ხორციელდებოდა.

- ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ფარგლებში, ტრენერად გადამზადდა 39 თანამშრომელი.

3.2.3 ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტირება

განათლების ინკლუზიური სისტემის მარდაჭერა, ასევე მოიცავს სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებუელების არსებული ინფრასტრუქტურის მისადაგების უზრუნველყოფას თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებთან.[60] ქვეყნის მასშტაბით თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის ადაპტირება ბავშვთა საჭიროებებთან სირთულეს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ახალაშენებული საჯარო სკოლები სრულად ადაპტირებულია და მოწყობილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემო, ხოლო ნაწილობრივ ადაპტირებულ სკოლებთან მიმართებით, თუ ადაპტირებული გარემოს მოწყობამ შეიძლება გამოიწვიოს საგანმანათლებლო დაწესებულების არსებული შენობის მდრადობისათვის საფრთხის შექმნა, ადაპტირებითი ღონისძიებები ხორციელდება შეძლებისდაგვარად, შენობის ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში.[61]

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სსსმ/შშმ პირების განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში 2020-2021 სასწავლო წლის II სემესტრში ტრანსპორტით უზრუნველყოფილი იყო ჯამში 305 სსსმ და შშმ მოსწავლე, ხოლო 2021-2022 სასწავლო წლის I სემესტრში ტრანსპორტით უზრუნველყოფილი იყო ჯამში 308 სსსმ და შშმ მოსწავლე.[62]

3.3 ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლება

ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლება მოიაზრებს ბავშვის დაცვას ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან ნებისმიერ სივრცეში. პანდემიის პირობებში ბავშვის მიმართ ძალადობის რისკები განსაკუთრებით გაზრდილია, რასაც თან ერთვის, ქვეყანაში მომსახურებების გაკრვეული

[60] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 37 (2).
[61] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, N MES 6 22 0000144620, 14/02/2022.
[62] იქვე.

ნაწილის დისტანციურად განხორციელების გამო, ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დროული გამოვლენის სირთულეც. ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციისა და ძალადობაზე რეაგირების კუთხით სახელმწიფოს მხრიდან არაერთი ღონისძიება განხორციელდა. საანგარიშო პერიოდში ბავშვების ქუჩაში გასვლის პრევენციისა და მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის გზით, ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების რაოდენობის შემცირების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით შემუშავდა ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ყველა სახის ძალადობისგან, მათ შორის, ტრეფიკინგისგან, დაცვის მიზნით ერთიანი სამთავრობო სტრატეგიის პროექტი 2022-2026 წლებისთვის და მისი შესრულების 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელთა დამტკიცებაც უახლოეს მომავალში იგეგმება.[63]

ბავშის უფლებების შესახებ კონვეცნიის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა სასკოლო დისციპლინის დაცვა უნდა უზურნველყონ ბავშვის ღირსების პატივისცემითა და კონვენციის დებულებების შესაბამისად. საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა დაინერგოს ბავშვის მიმართ და ბავშვებს შორის ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა შორის ჩაგვრის, პრევენციის და შესაბამის ფაქტებზე სათანადო რეაგირების პროგრამები და მექანიზმი.[64] ამ მიმართულებით აღსანიშნავია 2021 წლის განმავლობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობები. სამინისტროს მიერ შემუშავდა გზამკვლევი „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების თავისებურებები და პრობლემური ქცევის პრევენცია“, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, მიმოხილულია სექსუალური ძალადობის ამოცნობისა და პრევენციის საკითხები და განკუთვნილია მშობლებისთვის, მასწავლებლებისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისათვის.[65] ამასთან, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრმა 2021 წელს საპილოტედ შერჩეულ 11 საჯარო სკოლაში განაგრძო ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის, ნივთიერებების ავადმოხმარების პრევენციის და აღდგენითი პროცესების დანერგვის მხარდამჭერი პროექტის

[63] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი N2065, 18/02/2022.
[64] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 38 (3).
[65] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, N MES 6 22 0000144620, 14/02/2022. *შენიშვნა:* გზამკვლევი ხელმისაწვდომია: http://inclusion.ge/res/docs/2021101214453851390.10.21.pdf [ბოლოს ნანახია: 24/02/2022].

განხორციელება, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სკოლის გაძლიერება არააკადემიური ვალდებულებების აღსრულების მიზნით.[66] პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები/შეხვედრები მშობლებთან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ძალადობისა და ბულინგის ნიშნების, ბავშვებში სუიციდური ქცევის ნიშნების ამოცნობის შესახებ.[67] გარდა ამისა, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მთავარი ფუქნციების (სკოლებში ძალადობის, დესტრუქციული ქცევის, ფსიქო-ემოციური პრობლემების პირველადი იდენტიფიცირება, დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტის გამოვლენა და შესაბამის სამსახურში გადამისამართება, დაპირისპირებულ მოსწავლეთა შორის კონფლიქტური სიტუაციების მართვა) გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულების 14 მანდატური გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ტრენერად გადამზადდა, რომლებმაც წლის მანძილზე მოსწავლეებთან 6455 დისტანციური საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს თემაზე: „ძალადობა და კიბერბულინგი“.[68]

სახლემწიფოს მხრიდან განხორციელებული ღონისძიებების[69] მიუხედავად, ბავშვთა ძალადობისგან დაცვა ქვეყანაში კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ძალადობის სხვადასხვა გავრცელებულ ფორმებს (როგორც ოჯახში, ისე სხვა სივრცეებში) შორისაა ფიზიკური დასჯა, ფსიქოლოგიური ძალადობა, უგულებელყოფა, ბავშვთა შრომა, ძალადობრივი დისციპლინა, სექსუალური ძალადობა და სხვა.[70]

---

[66] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, N MES 6 22 0000144620, 14/02/2022.
[67] იქვე.
[68] იქვე. *შენიშვნა:* მანდატურების გადამზადება განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და ევროკავშირის დაფინანსებით.
[69] დამატებით იხ. მაგ. *ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში*, 2018-2020.
[70] იხ. მაგ. გაეროს ბავშვთა ფონდი, *ბავშვის აღზრდის პრაქტიკა საქართველოში,* მრავალინდიკატერული კლასტერული კვლევა, ნოემბერი, 2020. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021122212522050326.pdf [ბოლოს ნანახია: 21/02/2022]; ასევე იხ. საქართველოს სახალხო დამცველი, გაეროს ბავშვთა ფოდნი, *სპეციალური ანგარიში ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება*, თბილისი, 2021. ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/media/6451/file/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf [ბოლოს ნანახია: 21/02/2022]; ასევე იხ. საქართველოს სახალხო დამცველი, *ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ,* 2020. ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf [ბოლოს ნანახია: 21/02/2022].

ძალადობისგან ბავშვის დაცვის უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებები გულისხმობს ქვეყნაში არსებული ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური თუ სხვა რესურსების გამოყენებას ბავშვის ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან დაცვისთვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ეფექტიანი პროცედურების გატარებას ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მხარდასაჭერად.[71] ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციით აღებული ეს ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს, ერთი მხრივ, ეფექტიანი პრევენციული მექანიზმების გატარებას, როგორც საკანონმდებლო, ისე აღსრულების თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, ძალადობაზე რეაგირების მექანიზმის შემუშავებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N 437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით“ განსაზღვრული თანამშრომლობის ფარგლებში, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო უზრუნველყოფს ბავშვზე ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას, გამოვლენილი ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის შეფასებას და კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის ინტერვენციას.[72]

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მსგავსად, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ყველა სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებაში დამტკიცებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების შიდა ინსტრუქციები და განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/პირები.[73] ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები სასწავლებლებში პერიოდულად ატარებენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც განიხილავენ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების, მათზე რეაგირებისა და პრევენციის საკითხებს, ასევე პერიოდულად ატარებენ მონიტორინგს ძალადობის შემთხვევების გამოვლენის მიზნით,

[71] კონვეცნია ბავშვის უფლებების შესახებ, გაერო, 1989 წელი, მუხლი 19.
[72] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/1409, 24/02/2022.
[73] საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი № 00004843, 22/02/2022.

თუმცა 2021 წლის პერიოდში სასწავლებლებში ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევები იდენტიფიცირებული არ არის.[74]

აღნიშნული მექანიზმის არსებობის მნიშვნელობის მიუხედავად, სირთულეს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების დროული შესრულებისთვის ღონისძიებების გატარება. ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციისა და ძალადობაზე რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით ბავშვის უფლებათა კოდექსით შემოღებული ერთ-ერთი მექანიზმი საქართველოს მთავრობას აკისრებს ვალდებულებას, შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბავშვის მიმართ და ბავშვთა შორის ძალადობის პრევენციისა და ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.[75] ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინაციას უწევს ადამიანის უფლებების დაცვის უწყებათაშორისი საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანაა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია.[76] საბჭოს მანდატის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კოორდინაციით, 2021 წელს მიმდინარეობდა და დასრულების ეტაპზეა მუშაობა ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნულ სტრატეგიაზე, რომელიც მოიცავს 2022-2030 წლებს და გამომდინარეობს პირველი ეროვნული სტრატეგიიდან (2014-2020 წწ.).[77] მისი მიზანია საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სისტემური გარანტიების შემდგომი განმტკიცება, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპული დოკუმენტებიდან გამომდინარე ვალდებულებებს და თანხვედრაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან.[78] ბავშვის უფლებების დაცვა, ძალადობის პრევენცია, ბავშვის განვითარების ხელშეწყობა, კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე სხვა მიმართულებები სტრატეგიის

[74] იქვე.
[75] შენიშვნა: ბავშვის უფლებათა კოდექსის 99-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბავშვის მიმართ და ბავშვთა შორის ძალადობის პრევენციისა და ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის ვალდებულება საქართველოს მთავრობას უნდა განეხორციელებინა 2020 წლის 1 მარტამდე.
[76] ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N551, 2016 წელი.
[77] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი N GOV 8 22 00004798, 16/02/2022.
[78] იქვე.

უმნიშვნელოვანესი ნაწილია.[79] სტრატეგიის მიზნების და ამოცანების ეფექტურად აღსრულების მიზნით, სტრატეგიის დამტკიცებისთანავე, შემუშავდება ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2024 სამოქმედო გეგმა, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირებისა და პრევენციის მექანიზმების გაძლიერება.[80]

ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება განხორციელდება „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესახებ საქართველოს მთავრობის N629 დადგენილების შესაბამისად.

სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო ღონისძიების გამოყენების, აგრეთვე ძალადობის მსხვერპლი ბავშვისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური აღდეგნის და სოციალური რეინტეგრაციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების ვალდებულება გამომდინარეობს საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე ნასკისრი ვალდებულებებიდან.[81] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციის თანახმად, კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ადეკვატური რეაბილიტაციისა და აღდგენის პროგრამების მიწოდება ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვებისთვის.[82]

აღსანიშნავია, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ბაზაზე ფუნქციონირებს ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები, სადაც დასაქმებული სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და იურისტები ფლობენ უნარებს და პროფესიულ ცოდნას, რომელიც განაპირობებს ეფექტური სერვისის მიწოდებას, მათ შორის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების მიმართულებით.[83] გარდა ამისა, სააგენტოს სპეციალისტები

[79] იქვე.
[80] იქვე.
[81] იხ. კონვეცნია ბავშვის უფლებების შესახებ, გაერო, 1989 წელი, მუხლი 34, 39; იხ. ასევე კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, ევროპის საბჭო, 2007.
[82] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი დაკვირვებები საქართველოს მეოთხე პერიოდული ანგარიშის შესახებ, 2017 წლი 9 მარტი, CRC/C/GEO/CO/4/, პარაგ. 20 (b).
[83] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/1409, 24/02/2022.

მომსახურების გაწევის პროცესში, თანამშრომლობენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, როგორც თერაპიის ასევე, მთელი რეაბილიტაციის პროცესში.[84]

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფიზიკური, ფსიქოლოგიური აღდგენისა და სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყანაში 2021 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიაზე, ქ. თბილისში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის შექმნაზე.[85] ამ თვალსაზრისით ბავშვის უფლებათა კოდექსის მნიშვნელოვან დანიშნულებაზე, ასევე მიუთითებს კოდექსის საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ განკარგულების (N1825) გამოცემა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციის მოწონების შესახებ,[86] რომლის თანახმად, ცენტრის პილოტირება უნდა განხორციელებულიყო 2021 წლის ბოლომდე. გარდა ამისა, ცენტრის კონცეფციის მიხედვით, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფარგლებში, ასეთი მომსახურების ცენტრები უნდა შეიქმნას თბილისსა და ქუთაისში. ცენტრის მომსახურების მიზანია, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და მათი ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია ბავშვზე მორგებულ გარემოში.

საანგარიშო პერიოდში პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, 2021 წლის პერიოდში, ინტენსიურად მიმდინარეობდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის ფუნქციონირებაში ჩართულ პროფესიონალთა გადამზადება.[87] ქ. თბილისის მომსახურების ცენტრი უახლოეს პერიოდში დაიწყებს ფუნქციონირებას.[88]

---

[84] იქვე.

[85] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი N GOV 8 22 00004798, 16/02/2022.

[86] შენიშვნა: ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციის შემუშავება განხორციელდა საქართველოს მთავრობის განკარგულებით შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) კოორდინირებული მუშაობის შედეგად.

[87] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი N GOV 8 22 00004798, 16/02/2022.

[88] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/1409, 24/02/2022; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი N GOV 8 22 00004798, 16/02/2022;

ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის შექმნის პარალელურად საანგარიშო პერიოდში საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან თანამშრომლობით მუშაობა მიმდინარეობდა ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ინსტრუქციისა და სტანდარტების შექმნაზე. რომელიც, დამტკიცების შემდგომ, უზრუნველყოფს სწრაფ, ეფექტურ და ბავშვზე მორგებული მომსახურების გაწევას.[89]

3.4 ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე

3.4.1 პროფესიული გადამზადება

ბავშვის უფლებათა დაცვის გაძლიერებისა და ბავშვის მიერ ძირითადი უფლებების ეფექტიანი რეალიზების თვალსაზრისით ბავშვის უფლებათა კოდექსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის გარანტიების დანერგვა. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელებისთვის, კოდექსის თანახმად, სახელმწიფო ორგანოებს აქვთ ვალდებულება, უზრუნველყონ ბავშვისთვის ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების ისეთი სისტემა, რომელსაც ახორციელებენ სპეციალიზებული პროფესიონალები.[90] ბავშვის უფლებათა კოდექსი ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ ბავშვთან მომუშავე თითოეულმა პირმა გაიაროს აუცილებელი ინტერდისციპლინური მომზადება ბავშვის უფლებების, სხვადასხვა ასაკის ბავშვთა საჭიროებებისა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების საკითხებზე.[91]

მართლმსაჯულების სფეროში პროფესიონალთა სპეციალიზაციის თვალსაზრისით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლეთა პროფესიული გადამზადება და დაადგინოს მოსამართლეთა სპეციალიზაციის სტანდარტი.[92] საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ 2021 წელს განხორციელდა 50 მოსამართლის გადამზადება[93] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს N8 დადგენილების

[89] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 07/1409, 24/02/2022;
[90] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 69.
[91] იქვე, მუხლი 73 (2).
[92] იქვე, მუხლი 95 (2).
[93] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი N76/404-01-ო, 14/02/2022.

საფუძველზე, რომლითაც დამტკიცდა „ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი“.

პროფესიონალთა სპეციალიზაციის ინსტიტუციური სისტემა მოიცავს არა მხოლოდ მოსამართლეთა სპეციალიზაციას, არამედ, ასევე ბავშვთან და ბავშვის საკითხებზე მომუშავე თითოეული პირის - ადვოკატის, პროკურორის, პოლიციელის, მედიატორის, სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგისა და სხვა სპეციალისტების განგრძობად გადამზადებას.[94] ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, რომელიც ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთ-ერთი ძირითადი უწყებაა. სწორედ სააგენტო უზრუნველყოფს მის სისტემაში დასაქმებული სპეციალისტების (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და პრობაციის ოფიცერი) უწყვეტ პროფესიულ გადამზადებასა და სპეციალიზაციის კურსის გავლას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში.[95]

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, სააგენტომ შეიმუშავა ოთხი სარეაბილიტაციო პროგრამა, რომლის მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ცხოვრებისეული უნარების განვითარება რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის პროცესში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში დანაშაულის ხელახლა განმეორების რისკების შემცირებას ემსახურება.[96] აღნიშნულ პროგრამებზე გადამზადდა 60 მონაწილე.[97]

ბავშვთან და ბავშვის უფლებების საკითხებზე მომუშავე პირების პროფესიული განვითარების კუთხით, საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, განახორციელა რამდენიმე ღონისძიება ბავშვთა ტრეფიკინგის აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით. განხორციელებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია ბავშვთა ვაჭრობის / ტრეფიკინგის საკითხებზე სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ და სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციების 26 თანამშრომლის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის 16 კოორდინატორის, იუსტიციის სახლის 41 თანამშრომლის

[94] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 73 (4).
[95] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი N2065, 18/02/2022.
[96] იქვე.
[97] იქვე.

გადამზადება; არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების განხორციელების თაობაზე მიმართვიანობისა (რეფერირების) და აღსრულების პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებების (სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო) წარმომადგენლებისთვის ტრენინგების ჩატარება (ჯამში – 28 მონაწილე);[98] ბავშვთა ექსპლუატაციის ფსიქოლოგიური ასპექტებისა და ეფექტური კომუნიკაციის პრაქტიკის“ თემაზე საქართველოს გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 25 თანამშრომლისთვის ტრენინგის ჩატარება.[99]

2021 წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მხარდაჭერით, მოამზადა 3 სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ფარავს ბავშვთა ტრეფიკინგის და მსხვერპლ ბავშვთან მოპყრობის საკითხებს და განკუთვნილია შემდეგი სამიზნე ჯგუფებისთვის:

- ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მობილური ჯგუფები და მუდმივმოქმედი ჯგუფი;
- სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ მობილური ჯგუფები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირებაზე;
- შრომის ინსპექტორები - შრომითი ექსპლუატაციისა და იძულებითი შრომის საკითხებზე.[100]

---

[98] შენიშვნა: „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციისა და „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ 1996 წლის ჰააგის კონვენციის ეფექტიანი იმპლემენტაციისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერების მიზნით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 5 ნოემბრის №663 დადგენილებით დამტკიცდა არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების განხორციელების თაობაზე მიმართვიანობისა (რეფერირების) და აღსრულების პროცედურები.

[99] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი N2065, 18/02/2022.

[100] იქვე.

2021 წლის განმავლობაში დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით (კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID / PROLoG), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)) მიმდინარეობდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომელთა, ადვოკატთა და კონსულტანტთა გადამზადება ბავშვის უფლებების კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საკითხებზე.[101] წლის მანძილზე გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 138 თანამშრომელი.[102] ტრენინგებმა მოიცვა შემდეგი სფეროები:

- ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა;
- კლიენტთან, მათ შორის, არასრულწლოვან კლიენტთან ადვოკატის კომუნიკაცია;
- ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის (Barnahus) თაობაზე;
- ინტეგრირებული მომსახურების (Barnahus) კონცეფციის და სტანდარტული ოპერაციული პროცედურები.[103]

3.4.2 ინფრასტრუქტურა

ბავშვის უფლებათა კოდექსით დადგენილი ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელება მოითხოვს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას სასამართლო სისტემის ყველა დონეზე.[104] საანგარიშო პერიოდის დასასრულს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელებისთვის აუცილებელი გარემო მოწყობილია ხუთ სასამართლოში: ქუთაისის სააპელაციო, თბილისის საქალაქო, რუსთავის საქალაქო, ზუგდიდის რაიონულ და ფოთის საქალაქო სასამართლოებში. აქედან, შესაბამისი სარემონტო სამუშაოები 2021 წელს განხორციელდა ფოთის საქალაქო სასამართლოში.[105]

3.4.3 ბავშვის უფლება იურიდიულ დახმარებაზე

ბავშვს უფლება აქვს, მიიღოს თანმიმდევრული და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია ან/და დახმარება უფასოდ, სახელმწიფოს ხარჯზე მისი ასაკის და

[101] სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წერილი N LA 6 22 00003710, 14/02/2022.
[102] იქვე.
[103] იქვე.
[104] იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 95 (2).
[105] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი N76/404-01-ო, 14/02/2022.

ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, რომლის უზრუნველყოფის ვალდებულება აქვს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს.[106] ამასთან, სამსახურის მიერ მომსახურებების გაწევა უნდა განხორციელდეს ბავშვზე მოგებული მართლმსაჯულების სტანდარტების შესაბამისად.[107]

2021 წელს იურიდიული დახმარებით ისარგებლა 4720-მა არასრულწლოვანმა ბენეფიციარმა, რომელთაგან ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საკითხებზე იურიდიული დახმარება გაეწია 3093 ბავშვს, ხოლო იურიდიული კონსულტაციით ისარგებლა 81-მა ბავშვმა.[108] ამასთან, რუსთავის იურიდიული დახმარების ბიუროსა და დუისის საკონსულტაციო ცენტრის მეშვეობით, სამსახური არასრულწლოვნებს სთავაზობდა მათთვის სათანადოდ აღჭურვილ და ბავშვზე მორგებულ გარემოს.[109]

3.5 საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებები

ბავშვის უფლებათა კოდექსის 70-ე მუხლით განსაზღვრულია ბავშვისა და მისი ოჯახისთვის ბავშვის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად განახორციელოს ყველა საჭირო ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიება. ამასთან, ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა უნდა განხორცილდეს მისი განსაკუთრებული და ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით.[110]

ბავშვის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ბავშვთა საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში საქართველო სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტმა სკოლის მოსწავლეებთან გამართა სამი საინფორმაციო შეხვედრა.[111] დამატებით, სახალხო დამცველის აპარატის აღმოსავლეთ სამმართველოს თანამშრომლების მიერ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან და არასრულწლოვნებთან, ბავშვთა უფლებების, მათ შორის, ბავშვთა მიმართ და ბავშვთა შორის ძალადობის, ადრეულ ასაკში

[106] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 79.
[107] იქვე, მუხლი 79 (4).
[108] სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წერილი N LA 6 22 00003710, 14/02/2022.
[109] იქვე.
[110] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 70 (5).
[111] საქართველოს სახალხო დამცველის წერილი N10-1/2004 18/02/2022.

ქორწინების, ბავშვთა შრომის, პანდემიის პირობებში განათლების, ბავშვის უფლებათა კონვენციის, სახალხო დამცველის მანდატის თაობაზე ჩატარდა 77 შეხვედრა, ხოლო დასავლეთის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარდა 125 შეხვედრა.[112]

ბავშვის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ბავშვთა ინფორმირების თვალსაზრისით, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური მოძრაობის - "ვაქციოთ კანონი ხელმისაწვდომი ყველასათვის" - ფარგლებში ახორციელებს საინფორმაციო კამპანიას „იცოდე შენი უფლებები 18 წლამდე“. აღნიშნული მოძრაობის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ბავშვებთან გაიმართა არაერთი შეხვედრა და ჩატარდა შემეცნებითი, სოციალური ხასიათის ღონისძიებები - ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლების 200-მდე მოსწავლესთან გაიმართა შეხვედრები სამართლებრივი ცნობიერების გაზრდის მიზნით, აგრეთვე - ბავშვის უფლებათა კოდექსსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით.[113] საანგარიშო პერიოდში ბავშვის უფლებების თაობაზე სამსახურის მიერ აქტიურად ვრცელდებოდა ვიდეო რგოლებიც.[114]

ბავშვისათვის ინფორმაციის ადაპტირებული ფორმით ხელმისაწვდომობის მიზნით, 2021 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით, შეიქმნა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ბავშვთა ვებგვერდი: www.children.las.ge, რომელზეც განთავსებულია ბავშვისთვის სასარგებლო ინფორმაცია იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ საკითხებზე, აგრეთვე ფორუმი, რომელიც მოსწავლეებსა მშობლებს აძლევს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის საშუალებას.[115] ვებგვერდი შვიდ ენოვანია (ქართული, ინგლისური, რუსული, სომხური აზერბაიჯანული, ოსური და აფხაზური) და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (სმენადაქვეითებული, სუსტი და მხედველობის არმქონე პირებისთვის).[116]

2021 წლის ოქტომბრიდან, ასევე ამოქმედდა ახალი ვებგვერდი https://befriend.mes.gov.ge/, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, სრული კონფიდენციალურობის დაცვით, ონლაინ ჩათის საშუალებით, მიიღოს კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაცია და

[112] იქვე.
[113] სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წერილი N LA 6 22 00003710, 14/02/2022.
[114] იქვე.
[115] იქვე.
[116] იქვე.

ხელი შეუწყოს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე საზოგადოების, განსაკუთრებით - მოზარდების ცნობიერების ამაღლებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.[117]

საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, 2021 წელს შეიქმნა საკონსულტაციო აპლიკაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები პირისათვის და თითოეულ ბავშვს აძლევს საშუალებას, მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია, პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გარეშე.[118]

ბავშვის განათლების დონისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა ხორციელდება სხვა მიმართულებითაც, როგორიცაა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბავშვებისთვის. გარემოს დაცვის საკითხზე ბავშვთა ინფორმირება მნიშვნელოვანია ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელი განვითარებისთვის, ბავშვის მიერ ჯანმრთლობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობისთვის. ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელი განვითარების უფლება წარმოადგენს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციისა და ბავშვის უფლებათა კოდექსით აღიარებულ არა მხოლოდ უფლებას, არამედ ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. აღნიშნული პრინციპის ეფექტიანი რეალიზება დაკავშირებულია ბავშვის სხვა ძირითადი უფლებების გამოყენებასა და დაცვის უზრუნველყოფასთან. ამ მიზნით, ბავშვის უფლებათა კოდექსი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აკისრებს ბავშვისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებას.[119]

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა განახორციელა ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება ბავშვის გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობას, კერძოდ[120]:

- ცენტრის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ლექცია-სემინარები გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, რომლებიც მოისმინა 800-მდე მოსწავლემ;
- ცენტრის მიერ შემუშავებული სასწვალო პროგრამის - „ეკოლიდერთა სკოლის“ ფარგლებში დისტანციურად განხორციელდა გარემოსდაცვითი საკითხების სწავლება

[117] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, N MES 6 22 0000144620, 14/02/2022.
[118] სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წერილი N LA 6 22 00003710, 14/02/2022.
[119] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 94 (2).
[120] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N 1472/01, 16/02/2022.

IX-XII კლასის მოსწავლეებისთვის. 2021 წელს კურსი წარმატებით დაასრულა 40-მა მოსწავლემ;

- პროექტის - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში" - ფარგლებში, გამოცხადდა საგრანტო კონკურსი - ,,ისწავლე უსაფრთხო გარემოში," რომლის მიზანი იყო ადგილობრივ დონეზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების შემცირების ხელშეწყობა და ბუნებრივი საფრთხით გამოწვეული კატასტროფების შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება. კონკურსში მონაწილეობდნენ 20 სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები 10 სამიზნე მუნიციპალიტეტიდან (ლაგოდეხი, ახმეტა, სიღნაღი, თელავი, გორი, აბაშა, სენაკი, ხობი, სამტრედია, ქობულეთი). 2021 წელს კონკურსის ფარგლებში დაჯილდოვდა 3 სკოლა;
- იმავე პროექტის ფარგლებში 10 სამიზნე მუნიციპალიტეტში (ლაგოდეხი, ახმეტა, სიღნაღი, თელავი, გორი, აბაშა, სენაკი, ხობი, სამტრედია, ქობულეთი) შეირჩნენ ახალგაზრდა მოხალისეები. მოხალისეთა ქსელი აერთიანებს 14-17 წლამდე ბავშვებს და ხელს უწყობს მათში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებას პროექტის საგანანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობის გზით. ამ ეტაპზე შერჩეულია 19 მოხალისე.
- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით მიმდინარე პროექტის (,,მმართველობის რეფორმის ფონდის") ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში - „სუფთა ჰაერი - ერთად ავიღოთ პასუხისმგებლობა" - მონაწილეობა მიიღო რუსთავის მუნიციპალიტეტის ექვსმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ, რომლის მიზანი იყო მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემის და მისი გადაჭრის გზების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამების/პროექტებისა და კულტურული ღონისძიებების განხორციელების თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. სამინისტროს მმართველობის სფეროში ფუნქციონირებს 8 სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება,

რომლებშიც წლიურად, საშუალოდ 2000-ზე მეტი ბავშვი იღებს განათლებას.[121] 2021 წელს ჩატარებულ საგანმანათლებლო პროგრამებში სულ მონაწილეობა მიიღო 213-მა ბავშვმა, ამასთან, წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით მოსწავლეებისთვის/ბავშვებისთვის ჩატარდა სხვადასხვა საგანმანათლებლო-შემეცნებითი, კულტურული ღონისძიებები მუზეუმებში, თეატრებში, სსიპ მწერალთა სახლის, სსიპ საქართველოს კინომატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელდა სხვადასხვა პროექტი, მოეწყო ცნობიერების ასამაღლებელი ბანაკები და სასკოლო სპორტული ოლიმპიადები.[122]

რეკომენდაციები

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას

- შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბავშვის მიმართ და ბავშვთა შორის ძალადობის პრევენციისა და ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- შეიმუშაოს და დაამტკიცოს დეინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- დაიწყოს მუშაობა ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის გახსნაზე ქ. ქუთაისში.

[121] საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი № 00004843, 22/02/2022.
[122] იქვე.